USAID
ამერიკელი ხალხისგან
USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM
EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE
პრევენცია პროგრესისთვის
PREVENTION FOR PROGRESS
CEAC
Civic Engagement and Activism Center
სამოქალაქო ჩართულობისა და აქტივიზმის ცენტრი

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული გამოწვევები მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში

სამართლიანი სასამართლოს უფლებას და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას, ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს უფლება მოიცავს იურიდიულ მომსახურებას; წარმომადგენლობის უზრუნველყოფას, როგორც სასამართლოში, ასევე წინასასამართლო ეტაპზე; სწრაფ მართლმსაჯულებას და თითოეული მოქალაქის ინტერესებზე მორგებული სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც უზრუნველყოფილია მათი სრულყოფილი მონაწილეობა.

მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტები დასახლებულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით კი მარნეულში, მოსახლეობის დიდ ნაწილს (მარნეულში დაახლ 90%, ბოლნისში დაახლ 60%) წარმოადგენენ აზერბაიჯანელები, თუმცა არიან ასევე სომხური თემის წარმომადგენლებიც.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში ხორციელდება პროექტი, რომლის მიზანიც არის - სასამართლოს შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. პროექტის ფარგლებში გაიმართა არაერთი შეხვედრა და საჯარო დისკუსია ადგილობრივ მოსახლეობასთან, ამ რეგიონში მომუშავე ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ადვოკატებთან, მოსამართლეებთან, პროკურორებთან, სახალხო დამცველის ოფისის ადგილობრივ წარმომადგენლობასთან. ამ შეხვედრების მიზანი იყო, რეგიონში, განსაკუთრებით კი ამ ორ მუნიციპალიტეტში სასამართლოს ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მიღებასთან. ამ კუთხით გამოიკვეთა გამოწვევები, რაც შესაძლოა უცხო არ იყოს სხვა რეგიონებისთვისაც, თუმცა არის გარკვეული სახის პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელია უშუალოდ ამ რეგიონისთვის და კონკრეტულად მითითებული მუნიციპალიტეტებისთვის.

თარჯიმნის მომსახურება

საქართველოში მართლმსაჯულება, ზოგადად სამართალწარმოება, ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, მნიშვნელოვან პრობლემას აწყდებიან მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. ამ ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ როგორც სასამართლოსთვის მიმართვამდე, ასევე უშუალოდ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ხელი მიუწვდებოდეთ თარჯიმნის კვალიფიციურ მომსახურებაზე.

ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებისას გამოიკვეთა გამოწვევები, რაც უკავშირდება, თარჯიმნების ხელმისაწვდომობას და თარგმანის ხარისხს სასამართლო განხილვისას. არსებული პრაქტიკით, სასამართლოებში თარჯიმნის მომსახურება ორი გზით არის დარეგულირებული. სასამართლოებს თავიანთ აპარატში დასაქმებული ჰყავთ თარჯიმნები

(შტატიანი მოსამსახურეები) ან იმ შემთხვევაში, თუკი ეს რესურსი არ არის საკმარისი, უკავშირდებიან თარჯიმანთა ბიუროებს, რომლებთანაც ხელშეკრულება აქვს დადებული იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. გარდა ამისა, არის ასევე შემთხვევები, როდესაც თარჯიმნად ხდება კერძო პირების მოწვევა, ვისთან დაკავშირებითაც აქვთ ინფორმაცია, რომ ფლობენ შესაბამის ენებს. მიუხედავად ამ სისტემისა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც თარჯიმნების ხელმისაწვდომობის პრობლემის გამო, ხდება პროცესების გადადება.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თარჯიმნის კვალიფიკაციისა და თარგმანის შემოწმების მექანიზმს. სამართლებრივი ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია თარჯიმანს ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია, რათა სამართალწარმოების მონაწილისთვის ამგვარი დახმარებით სარგებლობის უფლება არ იყოს ფორმალური. სწორედ კვალიფიციური და სრულფასოვანი თარგმანი ეხმარება სამართალწარმოების მონაწილეს სათანადოდ აღიქვას პროცესის მიმდინარეობა. გარდა ამისა, არ არსებობს თარჯიმანთა ერთიანი რეესტრი. ასევე გამოწვევად დასახელდა, თარჯიმანთა ანაზღაურების საკითხი, რის გამოც დაბალია ამ პროფესიონალების მოტივაცია, მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ პროცედურებში.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო სისტემაში ხელმისაწვდომი იყოს კვალიფიციური თარჯიმნების საჭირო რაოდენობა, განსხვავებული ენობრივი ჯგუფებისთვის, რაც თავის მხრივ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თანაბარ ხარისხს უზრუნველყოფდა. კვალიფიციური თარჯიმნის მომსახურების ხელმისაწვდომობით დაინტერესებული უნდა იყოს სამართალწარმოების პროცესის თითოეული მონაწილე, მათ შორის პირველ რიგში სასამართლო. თუმცა, ასეთი სახის ხელმისაწვდომობა არანაკლებ მნიშვნელოვანია გამოძიების ეტაპზეც. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო უწყებებს ჰქონდეთ ცხადად ჩამოყალიბებული ხედვა და პოლიტიკა, რათა შეიქმნას სამართლებრივი და სხვა სახის გარანტიები, სადაც თარჯიმნის დახმარებით სარგებლობა სრულად იქნება უზრუნველყოფილი.

დაგვიანებული მართლმსაჯულება

როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე პროფესიული წრეების მხრიდან, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დასახელდა პროცესების გადადება და გაჭიანურება. ეს პრობლემა ნახსენები იყო მოსამართლეების მხრიდანაც. ამის გამომწვევ მიზეზად დასახელდა მოსამართლეების რაოდენობის სიმცირე, რის გამოც ფიზიკურად ვერ ხერხდება სხდომების დროულად ჩატარება და მოქალაქეებს თვეობით და ზოგჯერ წლობითაც უწევთ საქმის განხილვაში მონაწილეობა. ეს ეხება როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ, ასევე სისხლის სამართლის საქმეებს, სადაც ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიება ან აღმკვეთი ღონისძიების გარეშეა დატოვებული.

ერთ-ერთ პრობლემად ასევე გამოიკვეთა, მოსამართლეების სხვა სასამართლოში გადაყვანის საკითხი, რაც ასევე აღნიშნულია ვენეციის კომისიის რეკომენდაციებშიც. დღეს არსებული საკანონმდებლო რეგულაციებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს ფართო უფლებამოსილება მოსამართლეების მივლინებისა და გადაყვანის თაობაზე. მოსამართლეების გადაყვანისას, ძველი საქმეების ჯერ შესწავლა და მერე მისი განხილვა უწევთ დარჩენილ მოსამართლეებს, რის გამოც პროცესები დროში კიდევ უფრო იწელება. მოსამართლეების ასეთ რეჟიმში მუშაობა თავისთავად ცალკე ახდენს გავლენას მართლმსაჯულების ხარისხზეც.

რთულია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე ვისაუბროთ, როცა მოქალაქეებს არ აქვთ სასამართლოში საქმის გონივრულ ვადაში განხილვის შესაძლებლობა. „დაგვიანებული მართლმსაჯულება, მართლმსაჯულებაზე უარის ტოლფასია“. [1] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პირდაპირ უკავშირებს გონივრულ ვადაში საქმის განხილვას სამართლიანი სასამართლოს უფლებას[2]. მოსამართლეების რაოდენობის გაზრდას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ მოხერხდეს მათი მხრიდან საქმეების დროულად განხილვა.

სასამართლოების ტერიტორიული განაწილება

ასევე გამოწვევად დასახელდა, სასამართლოების არასწორი განაწილება რეგიონში. ბოლნისის რაიონული სასამართლო იხილავს ბოლნისის, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოქალაქეების ძირითად საქმეებს. ბოლნისის რაიონულ სასამართლოს ჰყავს მაგისტრატი სასამართლოები ქ.მარნეულსა და ქ.დმანისში. მაგისტრატი სასამართლოები იხილავენ ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებს, იმ მიზნით, რომ არ მოხდეს რაიონული სასამართლოს დატვირთვა. ცხადია, რომ ასეთი განაწილების მიზეზია ქ.ბოლნისის მდებარეობა, რადგან, ქალაქი ბოლნისი თანაბარ მანძილზე მდებარეობს როგორც დმანისის, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტიდან, თუმცა, არსებული პრაქტიკით, ბოლნისის რაიონული სასამართლოში, საქმეების უდიდესი უმრავლესობა არის მარნეულის მუნიციპალიტეტიდან, მაშინ როცა დმანისის მაგისტრატ სასამართლოში, ძალიან მცირე რაოდენობის საქმეები იხილება. შესაბამისად, ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია, რაიონული სასამართლო მდებარეობდეს არა ბოლნისში, არამედ ქალაქ მარნეულში. ასევე გასათავლისწინებელია მოსახლეობის რაოდენობაც ამ მუნიციპალიტეტებში (მარნეული - 117 660; ბოლნისი - 74 243; დმანისი- 28 662.)[3]

მოქალაქეების ცნობიერების დაბალი დონე

ზოგადად მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, ქვეყანაში სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონე, რაც თავისთავად ეხება ინფორმაციას სასამართლოს საქმიანობის შესახებ. ეს ასევე გამოიკვეთა ამ რეგიონში, სადაც სხვა გამოწვევებთან ერთად, ინფორმირებულობის დაბალი დონე, ხელს უშლის მოქალაქეების ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე. საჯარო დისკუსიებისას მოქალაქეებმა აღნიშნეს, რომ არ აქვთ ინფორმაცია რაიონული და მაგისტრატი სასამართლოს განსჯადობაზე? არ იციან როდის შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს და რა შემთხვევებში? ეკუთვნით თუ არა უფასო იურიდიული მომსახურება? რა შემთხვევაში არიან გათავისუფლებული სახელმწიფო ბაჟისგან? უმეტესად, არ იციან განსხვავება, პოლიციისა და სასამართლოს ფუნქციებს შორის. ასევე, აქვთ აღქმა, რომ პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო ერთ სისტემას წარმოადგენს და ვერ ხვდებიან რა შემთხვევაში რომელს უნდა მიმართონ.

---

[1] Justice delayed is justice denied“– სამართლებრივი მაქსიმა, რომელიც ხშირად გამოიყენება აკადემიურ წრეებში/წყაროებში ამ უფლებაზე მსჯელობისას.

[2] ადამიანის უფლებათა ვეროპული კონვენცია, მუხლი 6 (1).

[3] საქართველოს მოსახლეობის აღწერის შედეგები, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022 https://www.geostat.ge/media/44559/I-tomi.pdf

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს ისეთ რეგიონში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, სადაც სხვა გამოწვევების გარდა, სოციალური და კულტურული ფაქტორები გავლენას ახდენენ სასამართლოს მიმართ ნდობაზე. უნდა გადაიდგას აქტიური ნაბიჯები, რომ გაიზარდოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობა, ცოდნა, დამოკიდებულება და უნარები, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით. მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის გაზრდა სასამართლოს საქმიანობის მიმართ, რათა მოქალაქეების ხედავდნენ პრობლემების გადაჭრის სამართლებრივ გზებს და არ მიმართონ დავის გადაჭრის სხვა ტრადიციულ და არატრადიციულ მეთოდებს.

იურიდიული მომსახურება

იურიდიული დახმარება პირდაპირ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებას. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფასო სამართლებრივ კონსულტაციას და იურიდიულ დახმარებას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების სამსახური. 2023 წლის 14 სექტემბერს, ქ.ბოლნისში გაიხსნა იურიდიული დახმარების საკონსულტაციო ცენტრი, რაც მისასალმებელია, თუმცა, ამ ეტაპზე, მსგავსი ცენტრი არ ფუნქციონირებს ქ.მარნეულში და მომსახურების მიღების მიზნით, მარნეულის მაცხოვრებლებმა უნდა მიმართონ ქ.რუსთავის იურიდიული დახმარების ცენტრს, ეს კი ცალსახად ამცირებს მოქალაქეების ხელმისაწვდომობას ამ სერვისზე. რეკომენდებულია, რომ ქ.მარნეულშიც ფუნქციონირებდეს შესაბამისი საკონსულტაციო ცენტრი.

პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა პრევენცია პროგრესისთვის მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პრევენცია პროგრესისთვის და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.